

განმარტებითი ბარათი
საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე „ქართველ
მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფად სახელმწიფო
მხარდაჭერის შესახებ“

ა) ხოვადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის თაობაზე

ა.ა. დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ქართველ მწერალთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის პირობების გაუმჯობესება.

ა.ბ. დადგენილების პროექტის მიზანი

დადგენილების პროექტის მიზანია მწერალთა სახსლზე, რომელიც მხოლოდ „მწერალთა კავშირს“ ეკუთვნოდა, სამუდამო მფლობელობაში გადაეცეს ქართველ მწერლებს, მიუხედავად მათი ორგანიზაციული კუთვნილების. ასევე დადგენილების მიზანია სახელმწიფო მხარდაჭერის აღმოსაჩენი პროფესიონალი ქართველი მწერლებისადმი, მათი ბეჭდური გამოცემებისადმი, ქართუკი ლიტერატურის საძღვარგარეთ პროპაგანდა და უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თავმნის ხელშეწყობა.

ა.გ. დადგენილების პროექტის არხი

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, მწერალთა კავშირის ყოფილ სახსლზე ეწოდოს „მწერალთა სახლი“ და სამუდამო მფლობელობაში გადაეცეს ქართველ მწერლებს, განურჩევლად მათი ორგანიზაციული კუთვნილებისა, დირექტორის, აღმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის დაფინანსება მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის თანახმად უნდა შეიქმნას მთარგმნელობითი ვიდეო, ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პროპაგანდისა და მსოფლიო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის უზრუნველყოფის მიზნით.

პროექტის თანახმად, უნდა დაწესდეს „მწერლის სახლის“ საპრემიო ფონდი, წლის საუკეთესო ავტორებისათვის პრემიების გასაცემად.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება მიმდინარე წელს არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

დადგენილების პროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ბ.ბ. დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომხადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

და. სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია-დაწესებულებები, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დადგენილების პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დაბ. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დადგენილების პროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დაგ. დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ნოდარ გრიგალაშვილი

დად. დადგენილების პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ნოდარ გრიგალაშვილი